საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003990

„ 15 “ იანვარი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ. ნიბლაძის I შეს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „იბოდა“ (217873031)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
პირადობის/ძრავობის ხოლეო, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

მინისტრის 2019 წლის 3 ივნისის №2-476 ბრძანებით გარემოს
გარემოსდაცვითი გადწყვეტილება (დასკვნა №51; 11.05.2009) (მონიტორინგი 004072; 004077; 004093)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №003990
ადმინისტრაციული მონიტორინგის დასკვნა №2
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: ინიციირება ადმინისტრაციული მიწერილობის გაუქმება

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 8 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^9 მუხლის შენიშვნის მ-2 ნაწილის, 79^9 მუხლის,

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მ-5 ნაწილის, 36-ე მუხლის მ-2 ნაწილის და

46-ე მუხლის პირველი ნაწილის, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლის 3^1 ნაწილზე მესამეზე

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გუმანიტარული ფედერაციის ლევან ფანდურ

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

ყაჩოსა მოადგილე - მდგომი საბუნებისო რესურსთა ნაწილ კოორდინატორ

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოორდინატორ

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. კარალეთში განთავსებული, შპს „იბოლია"-ს (ს/კ 217873031) კუთვნილ ასფალტის წარმოებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 3 ივნისის № 2-476 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 11 მაისის №51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, დეპარტამენტის 2024 წლის 14 ნოემბრის №004072, №004077 და №004093 ადმინისტრაციული მიწერილობებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის** და 2009 წლის 11 მაისის № 51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის** შესრულების მიზნით, შპს „იბოლია" არ ახორციელებს საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. 2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის 1.1. ქვეპუნქტის** შესრულების მიზნით, კომპანიამ არ უზრუნველყო ტექნოგენური ავარიისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ოპერატიული და სისტემატური ღონისძიებების, ავარიის და კატასტროფების დროს მოქმედების გეგმების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შესათანხმებლად წარდგენა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.2. 2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის 1.2. ქვეპუნქტის** შესრულების მიზნით, კომპანიამ არ უზრუნველყო ბიტუმის მოსალოდნელი დაღვრის თავიდან აცილებისათვის, აგრეთვე დაღვრის შემთხვევებში შედეგების ლიკვიდაციისათვის, კომპლექსური ღონისძიებების გეგმის შემუშავება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად;

1.3. 2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის 1.4. ქვეპუნქტის** შესრულების მიზნით, საწარმოში არ არის მოწყობილი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული სახანძრო ზედამხედველობის ოთახი, სათავსო სახანძრო ინვენტარის შესანახად, ხანძარსაწინააღმდეგო წყლის რეზერვუარი, სრულად არ არის დაკომპლექტებული სახანძრო სტენდები, კომპანიას არ აქვს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) განსახილველად წარდგენილი სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია;

2026 წლის 15 იანვრის №003990 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

1.4. 2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის 1.5. ქვეპუნქტის** შესრულების მიზნით, კომპანიამ არ უზრუნველყო, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შემუშავებული, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შესათანხმებლად წარდგენა;

1.5. 2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის 1.6. ქვეპუნქტის** შესრულების მიზნით, კომპანიას შესაბამის სამსახურთან არ აქვს დადებული შეთანხმება/ხელშეკრულება საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გატანასა და საკანალიზაციო ქსელში ჩაშვებასთან დაკავშირებით;

2. 2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-2 პუნქტის** და 2009 წლის 11 მაისის № 51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-3 პირობის** შესრულების მიზნით, კომპანიამ არ უზრუნველყო ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლების გამწმენდი სისტემის მოწყობასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის სისტემის ტექნიკური პარამეტრები), სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარდგენა, რომლის განხილვის შედეგების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში განახორციელებდა ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლების გამწმენდი სისტემის მოწყობას;

3. 2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-3 პუნქტის** და 2009 წლის 11 მაისის № 51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-4 პირობის** შესრულების მიზნით, კომპანია ყოველკვარტალურად არ აწარმოებს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგს (კერძოდ, მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის და ხმაურის მონიტორინგს);

4. 2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-4 პუნქტის** და 2009 წლის 11 მაისის № 51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-6 პირობის** შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს ძირითადი ტექნოლოგიური ხაზის მტვერდამჭერი სისტემის მუშაობის ეფექტურობის (ბატარეული ციკლონის მუშაობის პირობების) პერიოდულ შემოწმებას (მათ შორის პად-1,2,3 და 4 ფორმების წარმოებას);

5. 2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-5 პუნქტის** და 2009 წლის 11 მაისის №51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-7 პირობის** შესრულების მიზნით, კომპანიამ არ უზრუნველყო, საწარმოს ნარჩენების (ასევე სახიფათო ნარჩენების) მართვის გეგმის შემუშავება და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში შესათანხმებლად წარდგენა;

6. კომპანიამ არ მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს სკრინინგის განცხადებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლისა

და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით (საწარმოში განხორციელებულია ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, წარმადობის გაზრდა და ნავთობპროდუქტების საცავისა და სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალების) გადამუშავების ხაზის მოწყობა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე.)

7. საწარმოს ტერიტორიის ინსპექტირებისას, საწარმოს მიმდებარედ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.46.20.530.805) დაფიქსირდა კომპანიის მიერ დაყრილი 5 ერთეულზე მეტი ნარჩენი საბურავი, ასევე საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, კერძოდ ტექნიკის სარემონტო სახელოსნოს მიმდებარედ დაფიქსირდა შესაბამისი კონტეინერის გარეთ დაყრილი სახიფათო ნარჩენი, ნახმარი ზეთის ფილტრები, ზეთიანი ჩვრები და ხელთათმანები, ხუნდები და სხვა. ასევე საწარმოს მიმდებარედ არსებული სანიაღვრე არხში ჩაყრილია ზეთიანი ჭურჭელი, რის შედეგადაც წყლის ზედაპირზე დაფიქსირდა შეტივტივებული ნავთობპროდუქტი.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 4 თებერვალს, შპს „იბოლია“-ს მიმართ შედგა შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 089566 ოქმი;
2. ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილის და 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 089564 ოქმი;
3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №089565 ოქმი.

აღნიშნული ოქმები განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 7 მარტის №4/107-25 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილით, 79^8 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 31-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო

2026 წლის 15 იანვრის №003990 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „იბოლია“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 15 იანვრის №003990 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 15 იანვრის №003990 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „იბოლია“-ს (ს/კ 217873031) კუთვნილ ასფალტის წარმოებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 3 ივნისის № 2-476 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 11 მაისის №51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, დეპარტამენტის 2024 წლის 14 ნოემბრის №004072, №004077 და №004093 ადმინისტრაციული მიწერილობებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „იბოლია“ ვალდებულია:**

1. საქმიანობა მუდმივად განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისად (2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტი,** 2009 წლის 11 მაისის № 51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობა**), მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ტექნოგენური ავარიისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ოპერატიული და სისტემატური ღონისძიებების, ავარიის და კატასტროფების დროს მოქმედების გეგმების, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შესათანხმებლად წარდგენა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, (2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის 1.1. ქვეპუნქტი**). შემდგომში უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ბიტუმის მოსალოდნელი დაღვრის თავიდან აცილებისათვის, აგრეთვე დაღვრის შემთხვევებში, შედეგების ლიკვიდაციისათვის კომპლექსური ღონისძიებების გეგმის შემუშავება და შემდგომ უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების/ღონისძიებების შესრულება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის 1.2. ქვეპუნქტი**);

1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს** სახანძრო ზედამხედველობის ოთახის, სახანძრო ინვენტარის შესანახი სათავსოს, ხანძარსაწინააღმდეგო წყლის რეზერვუარის მოწყობა, ასევე სრულყოფილად დააკომპლექტოს სახანძრო სტენდები, ასევე შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) განსახილველად წარადგინოს სპეციალური

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის 1.4. ქვეპუნქტი**);

1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა. შეთანხმების შემდგომ საქმიანობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს პროექტით შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება (2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის 1.5. ქვეპუნქტი**);

1.5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, შესაბამის სამსახურთან შეთანხმების/ხელშეკრულების გაფორმება საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გატანასა და საკანალიზაციო ქსელში ჩაშვებასთან დაკავშირებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტის 1.6. ქვეპუნქტი**);

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლების გამწმენდი სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის სისტემის ტექნიკური პარამეტრების) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარდგენა, რომლის განხილვის შედეგების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლების გამწმენდი სისტემის მოწყობა (2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-2 პუნქტი,** 2009 წლის 11 მაისის № 51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე -3 პირობა**);

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **კვარტალში ერთხელ** აწარმოოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი, კერძოდ, მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის და ხმაურის მონიტორინგი (2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-3 პუნქტი,** 2009 წლის 11 მაისის № 51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე - 4 პირობა**);

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ძირითადი ტექნოლოგიური ხაზის მტვერდამჭერი სისტემის მუშაობის ეფექტურობის (ბატარეული ციკლონის მუშაობის პირობების) შემოწმება „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის № 21 დადგენილების შესაბამისად და **კვარტალში ერთხელ** უზრუნველყოს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის (პად-1; პად-2 და პად-3) წარმოება, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 413 დადგენილების შესაბამისად (2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-4 პუნქტი,** 2009 წლის 11 მაისის № 51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე - 6 პირობა**);

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს როგორც ფუნქციონირებისას, ასევე შესაძლო სარემონტო სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების (მათ შორის სახიფათო ნარჩენების) მართვის გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა. ნარჩენების მართვა განახორციელოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის, საქართველოს კანონის - ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად (2024 წლის 14 ნოემბრის №004093 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-5 პუნქტი,** 2009 წლის 11 მაისის № 51 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-7 პირობა**);

6. ამასთან, ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიის მიერ განხორციელებულია ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე (იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის **№1 დანართის მე-6 პუნქტი),** შპს „იბოლია" ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

7. ვინაიდან გამოვლინდა, რომ კომპანია საქმიანობას საქართველოს გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენტის (აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გარეშე ახორციელებდა (იხ. ადმინისტრაციული

მიწერილობის №1 დანართის მე-6 პუნქტი), „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან გეზღუდებათ საქმიანობის განხორციელების უფლება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე.**

8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ინსპექტირების პროცესში დაფიქსირებული ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიის დასუფთავება (იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის **დანართი №1-ის მე-7 პუნქტი),** ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს საქართველოს კანონის - ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. შემდგომში არ დაუშვას სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურება.